



**რეგიონული ტელევიზიების მონიტორინგი**  
**2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საქართველოში**

**პროექტი # S-14-108**

**საანგარიშო პერიოდი: 12-25 მაისი, 2014 წელი**

**მონიტორინგის პირველი ეტაპის ძირითადი მიგნებებია:**

- რეგიონული მაუწყებლები მონიტორინგის სუბიექტებს 2012-2013 წლებთან შედარებით აქტიურად აშუქებდნენ. თუმცა, პოლიტიკური ძალები მაინც მათი წინასაარჩევნო აქტივობების შესაბამისად შუქდებოდნენ;
- ტელეკომპანიათა ნაწილში მოიმატა კრიტიკული სიუჟეტების რაოდენობამ, თუმცა მათ უმეტესობაზე სუბიექტების შესახებ ისევ ზედაპირულ ინფორმაცია გადაიცემოდა და თემები სიღრმისეულად არ იყო გაშუქებული;
- ტელეკომპანიათა უმრავლესობამ ყველაზე მეტი დრო დაუთმო: კოალიცია "ქართულ ოცნებას" და საარჩევნო ბლოკ "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას";
- ტელეკომპანიათა ნაწილი დიდ დროს უთმობდა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებას, ძირითადად, ნეიტრალურ ტონში;
- მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება, უმეტესწილად, ნეიტრალურ ტონში ხდებოდა. ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ;
- ტელეკომპანიებმა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მონაწილეობით საინტერესო თოქ-შოუები მოამზადეს;
- თოქ-შოუების წამყვანები საკუთარ მოსაზრებებს ნაკლებად აფიქსირებდნენ და მოდერატორის ფუნქციას ასრულებდნენ. ჟურნალისტები სტუმრებს საშუალებას აძლევდნენ ბოლომდე დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი;
- რეგიონულ ტელემაუწყებელთა სადამოს ეთერში გასულ გადაცემებში "ფარული პოლიტიკური რეკლამის" ნიშნები არ გამოვლენილა;
- საანგარიშო პერიოდში არ გამოვლენილა ხმით/მუსიკით მანიპულირების შემთხვევები.

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2014 წლის 12-25 მაისის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს.

მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტის განვითარებას.

ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს ეთერში (19:00 - 24:00 სთ.) გასულ საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ რეგიონალური ტელემაუწყებლების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

## ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 16 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელეკომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ქ. ჭიათურა), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი), „არგო“ (ქ. ზესტაფონი), „მარნეული ტვ (ქ. მარნეული), „ბორჯომი“ (ქ. ბორჯომი), „დია“ (ქ. ხაშური).

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს (ე.წ. "პრაიმ-ტაიმის", როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს) გადაცემებზე: საინფორმაციო გამოშვებებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებსა და თოქ-შოუებზე.

## საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი

მონიტორინგის მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიული სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცევა ინფორმაციის დამახინჯებას, დაუბალანსებელ გაშუქებას, ტენდენციურობას და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ შერჩეული სუბიექტების შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ. დრო ითვლება, როდესაც სუბიექტზე საუბრობს საინფორმაციო გამოშვების წამყვანი, სიუჟეტის ჟურნალისტი ან სიუჟეტის ნებისმიერი რესპონდენტი. ასევე ითვლება დრო, როდესაც სუბიექტი უბრალოდ ჩანს ეკრანზე, ან ჩანს მისი ფოტო, პლაკატი ან სხვა ნებისმიერი ვიზუალური მასალა (იმ შემთხვევაში, თუ ამ დროს მასზე არ საუბრობენ).

მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე სხვები (ჟურნალისტი ან რესპონდენტი) საუბრობენ. იმ შემთხვევებში, როდესაც მონიტორინგის სუბიექტები თავად საუბრობენ (ისმის ხმა) დრო ითვლება, როგორც პირდაპირი გაშუქება; როდესაც სუბიექტებზე საუბრობენ სხვები, ჟურნალისტები ან რესპონდენტები, დრო ითვლება, როგორც ირიბი გაშუქება.

გაშუქების ტონი ენიჭება მონიტორინგის ყველა სუბიექტს. ტონის შესაფასებლად არსებობს სამი კატეგორია: დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი. ყოველთვის, როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ფასდება ტონიც, ანუ რაოდენობრივად ითვლება, რამდენი წამის/წუთის განმავლობაში საუბრობდნენ ამა თუ იმ სუბიექტზე კონკრეტული ტონით. ტონის შეფასებისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ ტექსტის შინაარსს, არამედ კონტექსტსაც.

თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა: ბალანსი, მიუკერძოებლობა, სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ახალი ამბების იგნორირება, მოვლენების დროული გაშუქება, ჟურნალისტის ლექსიკა, "ფარული პოლიტიკური რეკლამის" გამოყენების ფაქტები და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტის თავმჯდომარე, დამოუკიდებელი დეპუტატები, პრეზიდენტი, მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, ცენტრალური საარჩევნო კომისია, ადგილობრივი ხელისუფლება (დაკონკრეტების გარეშე), აჭარის მთავრობა, საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (*ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია*), კოალიცია "ქართული ოცნება" (*ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, საქართველოს კონსერვატიული პარტია, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს*), საარჩევნო ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ (*თავისუფალი საქართველო, ახალი მემარჯვენეები*), საარჩევნო ბლოკი „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“ (*დემოკრატიული მოძრაობა- ერთიანი საქართველო, ქართულიდასი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ტრადიციონალისტთა კავშირი, მემარცხენე ალიანსი*), ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს“ (*ევროპელი დემოკრატები, სამართლიანი საქართველოსთვის*), ხალხის პარტია, საქართველოს გზა, ალიანსი “ევროატლანტიკურიარჩევანი“ (*ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის, ქრისტიან-დემოკრატიული პარტია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება, საქართველოს ქალთაპარტია*), ლეიბორისტული პარტია, მწვანეთა პარტია, ქართული

პარტია, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, ჩვენი საქართველო, ასევე არჩევნებში მონაწილე თითოეული პოლიტიკური ძალის მერობის კანდიდატები ცალკ-ცალკე, აგრეთვე საკრებულოს დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატები.

### **მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:**


**"25-ე არხი" (ქ. ბათუმი)** - „25-ე არხის“ საინფორმაციო გამოშვება „მაცნე“ საანგარიშო პერიოდში ეთერში ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით გადიოდა. კვირას კი ახალი ამბები მაყურებელს წამყვანის გარეშე მიეწოდებოდა. გამოშვებებში ძირითადად, ადგილობრივი ახალი ამბები შუქდებოდა, თუმცა უყურადღებოდ არც ქვეყანაში განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენები რჩებოდა.

„25-ე არხმა“ მონიტორინგის სუბიექტებს 2 საათი და 15 წუთი დაუთმო. ყველაზე დიდი დროით (18%) კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივობები გაშუქდა. საერთო დროის 15% ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებას დაეთმო, 12% - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის.

მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი/ირიბი საუბრის პროცენტული მაჩვენებლები თითქმის თანაბრად გადანაწილდა. მათ მიმართ სამივე ტონი გამოვლინდა, თუმცა ნეიტრალური სჭარბობდა. დადებითი ტონი, ძირითადად წინასაარჩევნო შეხვედრების დროს პოლიტიკოსების მიერ გაცემული უხვი დაპირებებით აიხსნება, ხოლო უარყოფითი ტონი კი მათ მიერ ოპონენტების მისამართით გაკეთებული კრიტიკული განცხადებებით.

ტელეკომპანია საინფორმაციო გამოშვებებში საკმაოდ აქტიურად აშუქებდა თვითმმართველობის მოახლოებულ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიებს, პოლიტიკური პარტიების აქტივობებს. ბათუმის მერობის კანდიდატებიდან ყველაზე მეტი დრო (4 წთ.) კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატ გიორგი ერმაკოვს დაეთმო.

პოლიტიკური თემების გარდა, სიუჟეტები მოსახლეობის პრობლემების, სპორტული და კულტურული ღონისძიებების შესახებაც მზადდებოდა. არხის ჟურნალისტები ახალ ამბებს ოპერატიულად და მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ. სიუჟეტებში ბალანსი ძირითადად დაცული იყო.




"რიონი" (ქ. ქუთაისი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „რიონის“ სადამოს ვთერში ორი საინფორმაციო გამოშვება გადიოდა - დღის მთავარი ახალი ამბები და დაიჯესტი, სადაც მთავარი გამოშვების სიუჟეტები მეორდებოდა. „რიონი“ ახალი ამბების საკმაოდ ვრცელ გამოშვებებს ამზადებდა, სადაც მთლიანად ქვეყანასა და რეგიონში მიმდინარე ამბებს აქტიურად აშუქებდა.

საანგარიშო პერიოდში არხის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს 4 საათი და 22 წუთი დაეთმოთ. აქედან დროის 21% მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა, 18% - კოალიცია „ქართული ოცნების“, 13% - ადგილობრივი ხელისუფლების. ამ დროის ნახევარზე მეტი სუბიექტებს პირდაპირი საუბარისთვის დაეთმოთ.

ჟურნალისტები მოვლენებს, ძირითადად, ნეიტრალურად აშუქებდნენ და არ გამოხატავდნენ საკუთარ პოზიციას. თუმცა, პოლიტიკურ ძალთა წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს გამოვლინდა ბალანსის დარღვევის ცალკეული შემთხვევებიც. მაგალითად, 19 მაისის გამოშვებაში კოალიცია „ქართული ოცნების“ ქუთაისის მერობის კანდიდატ შოთა მურღულიას თითქმის ყველა წინასაარჩევნო აქტივობა გაშუქდა. ქუთაისის მერობის კანდიდატებს შორის სწორედ შოთა მურღულიას დაეთმო ყველაზე მეტი საეთერო დრო (28 წუთი). გაშუქების 8 წუთი ჰქონდა გიორგი თევდორაძეს (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), 4 წუთი - ხათუნა მაჭავარიანს (ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს“), 3-3 წუთი

ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ და ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ მერობის კანდიდატებს, მაგდა გაბრიჩიძეს და თეიმურაზ შაშიაშვილს.

პოლიტიკური თემების პარალელურად ჟურნალისტები მნიშვნელოვან დროს უთმობდნენ სოციალური თემატიკის გაშუქებას. ისინი ცდილობდნენ ამომწურავად გაეშუქებინათ საკითხები. ფაქტები გამყარებული იყო წინასტორიითა და რესპონდენტთა კომენტარებით. ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში არ დაფიქსირებულა ხმით/ მუსიკით მანიპულირების შემთხვევები; არ გამოვლენილა „ფარული პოლიტიკური რეკლამის“ ნიშნები.



ქვემო ქართლის ტელეკომპანია (ქ. რუსთავი) - მონიტორინგის ორკვირიან პერიოდში არხის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“ ეთერში ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით 20:30 საათზე გადიოდა. დღის ბოლოს კი, დაიჯესტში არხი რამდენიმე სიუჟეტს იმეორებდა. კვირას, 22:30 საათზე კვირის მანძილზე მომხდარ მნიშვნელოვან თემებზე მომზადებული სიუჟეტები ეთერში კიდევ ერთხელ გადიოდა. იგივე სიუჟეტებს არხი დაიჯესტის სახით მოგვიანებითაც აჩვენებდა.

საანგარიშო პერიოდში არხმა მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 6 საათი დაუთმო. აქედან ყველაზე დიდი დროით კოალიცია „ქართული ოცნება“ (1 სთ. 30 წთ) და „ქართული ოცნების“ რუსთავის მერობის კანდიდატი დავით ჯიქია (46 წთ.) გაშუქდნენ. არხი აქტიურად აშუქებდა რუსთავის მერობის სხვა კანდიდატების აქტივობებსაც: მამუკა ჩიქოვანს (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) 32 წუთი დაეთმო, ალექსანდრე კობაიძეს („საქართველოს გზა“) - 35 წუთი, კობა ძლიერაშვილს (ბლოკი „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“) - 14 წუთი, ივანე შათირიშვილს (საქართველოს პატრიოტთა ალიანსი) - 13 წუთი, ეროსი კიწმარიშვილს („ჩვენი საქართველო“) - 9 წუთი.

მონიტორინგის სუბიექტები თანაბრად გაშუქდნენ როგორც პირდაპირ, ისე ირიბიზად. მხოლოდ სამი სუბიექტის მიმართ დაფიქსირდა გაშუქების უარყოფითი ტონი (კოალიცია „ქართული ოცნება“, ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მთავრობა). სუბიექტები დიდწილად ნეიტრალურად და პოზიტიურად შუქდებოდნენ.


მონიტორინგის დროს გამოვლინდა სიმულვილის ენის გამოყენების შემთხვევა: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რუსთავის მერობის კანდიდატმა მამუკა ჩიქოვანმა ხელისუფლებაზე ნეგატიურ კონტექსტში საუბრისას სიტყვა „ჰაკიმ ფაშა“ გამოიყენა. ცნობილია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ „ჰაკიმ ფაშათი“ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მოიხსენიებს.

„ქრონიკა“თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. არხი საკმაოდ აქტიურად აშუქებდა სხვადასხვა პარტიის მერობის, გამგებლობისა და საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიებს; პოლიტიკური პარტიების აქტივობებს, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს.

„ქვემო ქართლის ტელეკომპანია“ მეტწილად ადგილობრივ ახალ ამბებს გადმოსცემდა, თუმცა საინფორმაციო გამოშვებების მეორე ნაწილში ასევე გადიოდა რამდენიმე სიუჟეტი ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

ჟურნალისტები ახალ ამბებს ოპერატიულად და მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ. სიუჟეტებში ბალანსი, ძირითადად, დაცული იყო.






"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია „ოდიშის“ ეთერში 10-15 წუთიანი მთავარი საინფორმაციო გამოშვება „დრო“ ყოველდღე 22 საათზე გადიოდა. საინფორმაციოს გამოშვებები მაყურებელს, ძირითადად, ადგილობრივ ამბებს აცნობდა. ქვეყანაში განვითარებული მოვლენები არხის ეთერში „ინფოლენტის“ სახით გადაიცემოდა, რომელიც სადამოს ეთერში 2-3-ჯერ გადიოდა. „ინფოლენტში“ პოლიტიკოსების და საზოგადო მოღვაწეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს მოკლე ტექსტის სახით აჩვენებდნენ. ხშირად ციტატასთან ერთად ეკრანზე მისი ავტორის ფოტოც ჩანდა. არხი მაყურებელს უცხოეთის ამბებსაც „ინფოლენტით“ აცნობდა.

საანგარიშო პერიოდში „ოდიშის“ საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში საათი და 15 წუთი დაეთმო. ყველაზე დიდი დროით არხი მთავრობის აქტივობებს აშუქებდა (27%), მთლიანი დროის 21% დაეთმო ბლოკ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, 17% - კოალიცია „ქართულ ოცნებას“. 3 წუთზე მეტი დრო ზუგდიდის მერობის მხოლოდ „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ კანდიდატ რუსუდან პაჭკორიას დაეთმო.

სუბიექტებს არხი, ძირითადად, ირიბად აშუქებდა. მათთვის დათმობილი დროის უმეტესი ნაწილი ნეიტრალურ ტონზე მოდიოდა. მხოლოდ სამი, ყველაზე მეტად გაშუქებული სუბიექტის მიმართ დაფიქსირდა უარყოფითი ტონიც.

ტელეკომპანია „ოდიში“ ეთერში გასულ სიუჟეტებში მიკერძოებულად გაშუქების შემთხვევები არ დაფიქსირებულა. არხი საკმაოდ აქტიურად აშუქებდა სხვადასხვა პარტიის მერობის, გამგებლობისა და საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატების, აგრეთვე არასამთავრობო სექტორის აქტივობებს, კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებებს.

საინფორმაციო გამოშვებებში „ფარული პოლიტიკური რეკლამის“ და ეთიკური ნორმების დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა.




"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) -ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ საღამოს ეთერში დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება 21 საათსა და 30 წუთზე გადიოდა. საინფორმაციო გამოშვებებში რეგიონის ახალ ამბებთან ერთად ქვეყანაში განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენებიც შუქდებოდა.

საანგარიშო პერიოდში არხის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 29 წუთი დაეთმოთ. საერთო დროის 23% ცენტრალური მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა, 17% - ადგილობრივი ხელისუფლების 16% - ცენტრალური საარჩევნო კომისიის.

ახალციხის მერობის კანდიდატებიდან დათმობილი დროის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ნატალი სისვაძე (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“) და გელა დემეტრაძე (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) გამოირჩეოდნენ. თუმცა, მთლიანობაში, ადგილობრივი

თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების შესახებ ვრცელი და ამომწურავი ინფორმაცია ნაკლებად ვრცელდებოდა და ჟურნალისტები პარტიების მოსახლეობასთან შეხვედრების გაშუქებით შემოიფარგლებოდნენ.

საინფორმაციო გამოშვებებში გვხვდებოდა „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ მიერ მომზადებული სიუჟეტები, აგრეთვე ტელეკომპანია „ბორჯომის“ მიერ მიწოდებული მასალები. არხზე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა სოციალურ თემატიკას. ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად, საკუთარი პოზიციის დაფიქსირების გარეშე გადმოსცემდნენ. არ გამოვლენილა სიძულვილის ენის ან ეთიკური ნორმების დარღვევის შემთხვევები.



"თანამგზავრი" (ქ. თელავი) - მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ეთერში დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ახალი ამბები“ ორშაბათი-პარასკევის ჩათვლით გადიოდა. ტელეკომპანია დაახლოებით 30 წუთიან საინფორმაციო გამოშვებას საღამოს ეთერში ორჯერ იმეორებდა. „ახალი ამბების“ პირველ ნაწილში რეგიონში მომხდარი ახალი ამბები იყო გაშუქებული, მეორე ნაწილში კი - ქვეყნის მთავარი ამბები და უცხოეთის სიახლეები. გამოშვებებში ადგილობრივ და ქვეყნის მთავარ თემებს დრო თითქმის თანაბრად ეთმობოდა. გარდა პოლიტიკური თემებისა სიუჟეტები მზადდებოდა რეგიონისთვის აქტუალურ სოციალურ, ეკონომიკურ საკითხებზე, სხვადასხვა პრობლემებზე.

აქტიურად შუქდებოდა თვითმმართველობის მომავალ არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წინასაარჩევნო შეხვედრები. საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 3 საათი და 25 წუთი დაეთმო. აქედან ყველაზე მეტი დრო, 50 წუთი, მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა. ამ დროის 70% პირდაპირ გაშუქებას დაეთმო, ხოლო 85% ნეიტრალურ ტონს. მთავრობისთვის დათმობილი დროის მაღალი მაჩვენებელი ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გაშუქებისას მთავრობის წარმომადგენლების დიდმა სინქრონებმა განაპირობა. 40 წუთი დაეთმო ადგილობრივ ხელისუფლებას. ამ დროის 51% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა. დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილზე პრემიერ-მინისტრი იყო. მისთვის დათმობილი დროის (21 წთ.) 61% ირიბ საუბარზე მოდიოდა.


თვითმმართველობის მომავალ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებიდან ყველაზე დიდი დრო (17 წთ.) ბლოკ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო. 13 მაისის საინფორმაციო გამოშვებაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ კახეთის რეგიონში არჩევნებში მონაწილე კანდიდატების წარდგენის შესახებ 10 წუთიანი სიუჟეტი მომზადდა. საინფორმაციო გამოშვებებში თითქმის 17 წუთი კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. ამ დროის 63% ირიბ საუბარზე მოდიოდა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიის 23%-ით ნეგატიურად გაშუქება 19 მაისის საინფორმაციო გამოშვებაში „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ წარმომადგენლის განცხადებამ განაპირობა, რომელიც ცესკოს საუბნო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელს კოალიცია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ზეწოლაში ადანაშაულებდა (ნაჩვენები იქნა ფარული ჩანაწერი).

„თანამგზავრმა“ ქალაქ თელავის მერობის კანდიდატებიდან ყველაზე დიდი დრო (5 წუთი და 39 წამი) ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ ალექსი ძულიაშვილს დაუთმო, 3 წუთზე ოდნავ მეტი ერგოთ ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ კანდიდატ გიორგი მოსიაშვილს და „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ კანდიდატ თამაზ არჯევანიძეს. მერობის კანდიდატები, უმეტესწილად, პირდაპირი საუბრით გაშუქდნენ, ხოლო გაშუქების ტონი ნეიტრალური იყო. გადაცემებში „ფარული პოლიტიკური რეკლამის“ ნიშნები არ დაფიქსირებულა, არ გამოვლენილა ხმით ან მუსიკით მანიპულირების შემთხვევებიც.

დაფიქსირდა ფაქტობრივი უზუსტობის ერთი შემთხვევა: 20 მაისის საინფორმაციო გამოშვებაში ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ თბილისის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატი ლაშა ჩხარტიშვილი ტიტრში ამავე ბლოკის მერობის კანდიდატად იყო მოხსენებული.

ჟურნალისტები ახალ ამბებს დროულად და მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ. ცდილობდნენ სხვადასხვა სოციალური საკითხების და პრობლემების გაშუქებისას

მოსახლეობისთვის საინტერესო ყველა მწვავე კითხვაზე მიეღოთ პასუხი. სიუჟეტები მოვლენების დაბალანსებული გაშუქებით ხასიათდებოდა.



**"თრიალეთი" (ქ. გორი)** - საინფორმაციო გამოშვება „ახალი ამბები თრიალეთზე“, საანგარიშო პერიოდში, არხის ეთერში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით გადიოდა. შაბათობით ეთერი ეთმობოდა გადაცემას „კვირის ამბები“, რომელშიც კვირის მანძილზე რეგიონში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით მომზადებული სიუჟეტები მეორდება. ზოგჯერ გადაცემა ორი ნაწილისგან შედგება: მეორე ნაწილში წამყვანებს სტუმრები ჰყავთ მოწვეული და კვირის მნიშვნელოვან თემებს განიხილავენ. 17 მაისის გადაცემაში გორის აგრარული ბაზრის საკითხი განიხილეს. მაცურებელს გააცნეს მოვაჭრეთა მოთხოვნები, ხელისუფლების პოზიცია და ინვესტორის ინტერესები.


საანგარიშო კვირაში არხი საკმაოდ აქტიურად აშუქებდა რეგიონში და ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტები პოლიტიკური პარტიების აქტივობებს და მერობის, გამგებლობისა და საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებს ოპერატიულად და მიუკერძოებლად აშუქებდნენ. სიუჟეტებში ბალანსი დაცული იყო. ეთერში ასევე გადიოდა ადგილობრივი სპორტული და კულტურული ღონისძიებების შესახებ მომზადებული სიუჟეტები.

საანგარიშო პერიოდში „თრიალეთმა“ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 2 საათი და 27 წუთი დაუთმო. ამ დროის 20% კოალიცია „ქართული ოცნების“ გაშუქებაზე მოდიოდა, 14% - მთავრობაზე, 12% - ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაზე“.

გორის მერობის კანდიდატებიდან 3 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ ზურაბ ჯირკველიშვილს (კოალიცია „ქართული ოცნება“) და ვასილ ბუთხუზს (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“). მათზე უმეტესწილად სხვები საუბრობდნენ, ნეიტრალურ ტონში. მთლიანობაში სუბიექტების გაშუქებისას ირიბი საუბარი მცირედით სჭარბობდა პირდაპირს.

ჟურნალისტები ახალ ამბებს დროულად და მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ. სიუჟეტები მოვლენების მოკლე და დაბალანსებული გაშუქებით ხასიათდებოდა. ჟურნალისტები ფაქტებს ნეიტრალურად, საკუთრი მოსაზრებების დაფიქსირების გარეშე გადმოსცემდნენ.

საინფორმაციო გამოშვებებში არ დაფიქსირებულა სიმულვილის ენა, ხმით ან მუსიკით მანიპულირების შემთხვევები.



"გურია" (ქ. ოზურგეთი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „გურიის“ მთავარი საინფორმაციო გადაცემა „ფაქტი“ ეთერში ორშაბათი-პარასკევის განმავლობაში გადიოდა. 10-15 წუთიან საინფორმაციო გამოშვებას საღამოს ეთერში ორჯერ ეთმობოდა დრო. „ფაქტში“ გასული სიუჟეტები ძირითადად რეგიონში მომხდარ ახალ ამბებს ასახავდა. საანგარიშო პერიოდში მათი უმეტესობა თვითმმართველობის მომავალ არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წინასაარჩევნო შეხვედრებს ეთმობოდა. არხმა მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 43 წუთი დაუთმო. ამ დროის 34% ტელეკომპანიამ კოალიცია „ქართული ოცნების“ ოზურგეთის მერობის კანდიდატ ბეგლარ სიორიძეს დაუთმო. მისი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრები თითქმის ყველა საინფორმაციო გამოშვებაში


შუქდებოდა. მერობის კანდიდატი დათმობილი დროის 61% ირიბად იყო გაშუქებული, ხოლო მისი გაშუქების ტონი დადებითი და ნეიტრალური იყო. 14 მაისის საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტში ჟურნალისტი ხათუნა ჩანქსელიანი ამბობს: „ბეგი სიორიძის პირველი წინასაარჩევნო შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრში საკმაოდ გულთბილი და გახსნილი საუბრით წარიმართა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატის ცენტრში ვიზიტი ბენეფიციარებისთვის უცხო არ იყო და მასთან საკმაოდ თბილი დამოკიდებულება აკავშირებდათ.“ სიუჟეტში ჩანს ჟურნალისტის დამოკიდებულება, შეფასება და მცდელობა მერობის კანდიდატი პოზიტიურად წარმოაჩინოს.

სუბიექტებისთვის დათმობილი დროიდან 14 წუთი ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებას დაეთმო, 11-11 წუთი - კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და ბლოკ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. მათთვის დათმობილი დრო თითქმის თანაბრად ნაწილდებოდა პირდაპირ და ირიბ საუბარზე. გაშუქებული სუბიექტებიდან ნეგატიური ტონი მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების (22%) და ბლოკ „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ (13%) მიმართ დაფიქსირდა. სუბიექტების პოზიტიური გაშუქება ძირითადად მათი მხარდამჭერების კომენტარის ხარჯზე ხდებოდა.

ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ ოზურგეთის მერობის კანდიდატ კახა ჩავლეიშვილს თითქმის 5 წუთი დაეთმო, 4 წუთი - პატრიოტთა ალიანსის კანდიდატ შოთა გოგიბერიძეს. 2-2 წუთიანი გაშუქება ჰქონდათ ოზურგეთის მერობის კანდიდატებს ირმა კვაჭანტირაძეს (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“) და მირზა ჩხიკვიშვილს (ლეიბორისტული პარტია).

23 მაისის საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტში, სადაც ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ კანდიდატების დასახელება იყო გაშუქებული, მერობის კანდიდატის ტიტრში დაშვებული იყო შეცდომა. სიუჟეტებში რესპონდენტებს ხშირად არ აქვთ ტიტრები, რაც ართულებს მათ იდენტიფიცირებას.

საინფორმაციო გამოშვებებში არ გვხვდებოდა რაიმე საკითხზე, პრობლემაზე მომზადებული სიღრმისეული სიუჟეტები. ჟურნალისტები მოვლენებს მშრალად გადმოსცემდნენ. ისინი ძირითადად ინფორმაციული ხასიათისა იყო.




"იმერვიზია" (ქ. ჭიათურა) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „იმერვიზიის“ სადამოსეთერში საინფორმაციო გამოშვებები ორჯერ გადიოდა. მათში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში საათი და 50 წუთი დაეთმოთ. გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მთავრობისა (33%) და მმართველი გუნდის მიმართ (32%) დაფიქსირდა.

ახალი ამბების გამოშვებებში თვითმმართველი ქალაქების მერობის კანდიდატები წუთზე ნაკლები დროით იყვნენ მოხსენებულნი. ვინაიდან, ქალაქ ჭიათურაში მერს არ ირჩევენ, ძირითადი აქცენტი პარტიების საკრებულოს წევრებისა და გამგებლობის კანდიდატებზე კეთდებოდა. არ გამოვლენილა მიკერძოებული გაშუქების შემთხვევები, პარტიები მათი აქტივობის მიხედვით შუქდებოდნენ. ამავე დროს, ჟურნალისტები არ გამოირჩეოდნენ საარჩევნო სუბიექტების პროგრამების სიღრმისეული ანალიზით.

ახალი ამბების გამოშვებებში დიდი დრო ეთმობოდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თემატიკასთან დაკავშირებით მომზადებულ მოსახლეობის გამოკითხვებს.

ჟურნალისტები, ძირითადად, ნეიტრალურები იყვნენ, არ დაფიქსირებულა ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები.






"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - ტელეკომპანია „გურჯაანის“ საღამოს ეთერში ერთი მთავარი საინფორმაციო გადაცემა გადიოდა. ახალი ამბების გამოშვებებში ქვეყანასა და რეგიონში მიმდინარე მოვლენები აქტიურად შუქდებოდა. ახალი ამბებს გამოშვებებში ქვეყანაში განვითარებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ცალკე ბლოკში მოკლედ იყო წარმოდგენილი.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებს არხის საინფორმაციო გამოშვებებში საათი და 45 წუთი დაეთმოთ. ამ დროის 23% ადგილობრივ ხელისუფლებას დაეთმო, 17% - კოალიცია „ქართულ ოცნებას“, 14% - მთავრობას. საკმაოდ მაღალი იყო მათი პირდაპირი გაშუქების მაჩვენებელიც. თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ სუბიექტებს ჟურნალისტები მათი საარჩევნო აქტივობების ინტენსივობის მიხედვით აშუქებდნენ და რომელიმე პარტიის მიმართ სუბიექტური დამოკიდებულება არ გამოვლენილა.


ხშირ შემთხვევაში, ჟურნალისტების მიერ მომზადებული მასალები კრიტიკული იყო. ჟურნალისტები კრიტიკულები იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლებისა (33%) და კოალიცია „ქართული ოცნების“ (48%) მიმართ. სოციალური თემატიკის ირგვლივ სიღრმისეული და ამომწურავი მასალები მომზადდა.



"მეგა ტვ" (ქ. ხონი) - ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვება „მთავარი დღეს“ საანგარიშო პერიოდში ეთერში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 22 საათზე გადიოდა. შაბათს იმავე დროს ეთერი საინფორმაციო გამოშვებას „მთავარი კვირას“ ეთმობოდა, კვირას კი - „კვირის ფაქტებს“.

არხის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 3 საათი და 28 წუთი დაეთმო. ამ დროის 24%-ით მთავრობა გაშუქდა, 15%-ით კოალიცია „ქართული ოცნების“ ქუთაისის მერობის კანდიდატი შოთა მურღულია, 11%-ით - ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 3 წუთზე ოდნავ მეტი დრო დაეთმოთ ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიის“ და ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატებს, თეიმურაზ შაშიაშვილს და გიორგი თევდორაძეს. არხის ეთერში მონიტორინგის სუბიექტებს პირდაპირი საუბრისთვის უფრო მეტი დრო ეთმობოდათ, ხოლო გაშუქების ტონი დიდწილად ნეიტრალური იყო.

არხი აქტიურად აშუქებდა პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიებს, პოლიტიკური პარტიების აქტივობებს, ადგილობრივ სიახლეებს, ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობას, მოსახლეობის პრობლემებს, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს. ჟურნალისტები სიახლეებს მიუკერძოებლად და ნეიტრალურად გადმოსცემდნენ. სიუჟეტებში დაცული იყო ბალანსი. არ გამოვლენილა სიმულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.




"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „მეცხრე ტალღის“ სადამოსეთერში ახალი ამბების გამოშვება „კურსორი“ ორჯერ გადიოდა. თითოეული გადაცემა საშუალოდ 7-8 სიუჟეტს მოიცავდა და რეგიონსა და ქვეყანაში განვითარებულ ახალ ამბებს აშუქებდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არხმა მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 49 წუთი დაუთმო. აქედან, 23% კოალიცია „ქართული ოცნება“ გაშუქდა, 17% - ცენტრალური საარჩევნო კომისია და 13% - ადგილობრივი ხელისუფლება. სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ნახევარზე მეტი პირდაპირ საუბარს მოიცავდა.

ჟურნალისტები მნიშვნელოვან დროს უთმობდნენ მოსახლეობის წინასაარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებულ გამოკითხვებს. არხი ასევე მნიშვნელოვნ დროს უთმობდა გენდერული ბალანსის საკითხებს. მაგალითად, 21 მაისის გამოშვების მეორე ნაწილი სრულად დაეთმო აღნიშნულ საკითხის სტუმრებთან ერთად განხილვას.

ფოთის მერობის კანდიდატებიდან ყველაზე მეტი დრო დავით ქანთარას (ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“, 5 წთ.) და ირაკლი კაკულიას (კოალიცია „ქართული ოცნება“, 3 წთ.) დაეთმო.

ჟურნალისტები მოვლენებს და საარჩევნო სუბიექტებს ნეიტრალურად აშუქებდნენ. არ გამოვლენილა მიკერძოებულობის და ტენდენციური გაშუქების ფაქტები.




„არგო“ (ქ. ზესტაფონი) - ორკვირიან საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „სპექტრი“ ეთერში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით წამყვანის გარეშე გადიოდა. შაბათობით კი კვირის რამდენიმე მთავარი სიუჟეტი მეორდებოდა. არხი, ძირითადად, რაიონში განვითარებულ მოვლენებს აშუქებდა.

ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 47 წუთი დაეთმოთ. რამდენიმე საინფორმაციო გამოშვებაში მონიტორინგის სუბიექტები საერთოდ არ გაუშუქებიათ. „სპექტრში“ ყველაზე დიდი დრო, დაახლოებით 10-10 წუთი დაეთმოთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციას“. გაშუქების 9 წუთი ჰქონდა ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციას“. მისთვის დათმობილი დროის 29% უარყოფით ტონზე მოდიოდა. 15 მაისის სიუჟეტში „წინასაარჩევნო სკანდალი ზესტაფონში“, საარჩევნო ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ წარმომადგენლების მიერ ორგანიზაციის დატოვების ფაქტი იყო გაშუქებული. ყოფილი და მოქმედი წევრები ერთმანეთის მიმართ ნეგატიურად საუბრობდნენ, რამაც ჯამში პოლიტიკური ძალის მიმართ უარყოფითი ტონის 29%-იანი მაჩვენებელი განაპირობა.

საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური პარტიების აქტივობების გარდა სიუჟეტები მომზადდა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე, ჯანდაცვის საკითხებზე, სხვადასხვა

სოციალურ თემაზე. საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტები ფაქტებს მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ. ეთერში გასულ სიუჟეტებში ბალანსი დაცული იყო.



„მარნეული ტვ“ (ქ. მარნეული) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „მარნეული ტვ“-ის ეთერში მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ახალი ამბები“ ორშაბათი-პარასკევის ჩათვლით გადიოდა. ზოგჯერ საინფორმაციო შაბათ-კვირასაც მზადდებოდა. არხის პრაიმ-ტაიმში საინფორმაციო გამოშვება ორჯერ მეორდებოდა. „ახალი ამბები“ ეთერში წამყვანის გარეშე გადიოდა. საინფორმაციო გამოშვებების ქრონომეტრაჟი 5-დან 30 წუთამდე მერყეობდა. შაბათს, 23 მაისს ტელეკომპანიის ეთერი „ახალი ამბების“ შემაჯამებელ გამოშვებას დაეთმო. საინფორმაციო გამოშვებებში, ძირითადად, ადგილობრივი ამბები შუქდებოდა. თუმცა მზადდებოდა სიუჟეტები ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესახებაც. 25 მაისის საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა მხოლოდ ერთი, 27 წუთიანი სიუჟეტი მთავრობისა და რეგიონული მედიის წარმომადგებლების საინფორმაციო შეხვედრის შესახებ, რომელიც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას შეეხებოდა. მონიტორინგის სუბიექტებს არხმა 2 საათი და 9 წუთი დაუთმო. ამ დროის 34% ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებაზე მოდიოდა, 24% - კოალიცია „ქართული ოცნების“, ხოლო 17% - მთავრობის. მათთვის დათმობილი დროის მაღალი მაჩვენებელი ფაქტიურად თითოეულის შესახებ მომზადებულმა თითო ვრცელმა სიუჟეტმა განაპირობა: 13

მაისი - მუნიციპალიტეტის ყოველკვირეული თათბირი, 17 მაისი - კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ მარნეულის მუნიციპალიტეტში კანდიდატების წარდგენა, 25 მაისი - მთავრობის წარმომადგენლების შეხვედრა რეგიონულ მედიასთან.

თვითმმართველობის მომავალ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებიდან არხმა ასევე გააშუქა ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (19 წთ.), ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ (8 წთ.). თითქმის 3 წუთი დაეთმო ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიან ოპოზიციას“.


სუბიექტების გაშუქებისას მათთვის დათმობილი დროის საშუალოდ 70% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა, ხოლო გაშუქების ტონი, დიდწილად, ნეიტრალური იყო.

საანგარიშო კვირის საინფორმაციო გამოშვებებში ფაქტობრივი უზუსტობის ორი შემთხვევა გამოვლინდა: 17 მაისის სიუჟეტში, რომელიც კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ მარნეულის მუნიციპალიტეტში კანდიდატების ოფიციალურ წარდგენას შეეხებოდა, ჟურნალისტმა მარნეულის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატი მარნეულს მერობის კანდიდატად მოიხსენია; 20 მაისის საინფორმაციო გამოშვებაში ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ თბილისის საკრებულოს წევრობის კანდიდატი ლაშა ჩხარტიშვილი ტიტრში ამავე ბლოკის მერობის კანდიდატად იყო მოხსენებული.

ზოგჯერ სიუჟეტებში რესპონდენტს ტიტრი არ ადევს, რაც ართულებს მათ იდენტიფიცირებას.

საინფორმაციო გამოშვებები მოვლენების მშრალი გაშუქებით შემოიფარგლებოდა და სიღრმისეულ სიუჟეტებს ნაკლებად ამზადებდა. ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად, სუბიექტური აზრის დაფიქსირების გარეშე გადმოსცემდნენ.

ტელეკომპანია პოლიტიკური თემების გარდა რაიონისთვის მნიშვნელოვან სხვადასხვა სოციალურ თემაზეც ამზადებდა სიუჟეტებს.



„ბორჯომი“ (ქ. ბორჯომი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „ბორჯომის“ ეთერში მთავარი საინფორმაციო გამოშვება „დღის ქრონიკა“ ორშაბათი-პარასკევის ჩათვლით გადიოდა. გამოშვებები პრაიმ-ტაიმში ორჯერ მეორდებოდა. „დღის ქრონიკას“ ჰყავს წამყვანი, თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც გადაცემა მის გარეშე გავიდა. კერძოდ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა რეგიონში ან ქალაქში რამე მნიშვნელოვანი ხდება ცალკე სიუჟეტები, წამყვანის გარეშე, შაბათ-კვირასაც გადის ეთერში. საინფორმაციო გამოშვებები საშუალოდ 7-13 წუთიანია, სიუჟეტები, ძირითადად, ადგილობრივ ამბებზეა მომზადებული.


მონიტორინგის სუბიექტებს „ბორჯომმა“ 58 წუთი დაუთმო. ამ დროის 24% ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობები გაშუქდა. მათთვის დათმობილი 14 წუთიდან 81% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა.

ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში ნაკლები დრო დაეთმო თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს. მათგან ყველაზე მეტი დრო (8 წთ.) ლეიბორისტულ პარტიას დაეთმო. 14 მაისის „დღის ქრონიკაში“ ცალკე სიუჟეტი მომზადდა ლეიბორისტული პარტიის ბორჯომის 36-ე საოლქო კომისიაში რეგისტრაციის შესახებ. მთლიანობაში ტელეკომპანია აქტიურად აშუქებდა ბორჯომის 36-ე საოლქო კომისიის მუშაობის დაწყებას, არჩევნებში მონაწილე სუბიექტების რეგისტრაციას, მის ვადებს.

6 წუთი დაეთმო კოალიცია „ქართულ ოცნებას“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ - 5 წუთი, 2-2 წუთიანი გაშუქება ჰქონდათ ბლოკ „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“, ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციას“ და ბლოკ „თვითმმართველობა ხალხს“.

ტელეკომპანია „ბორჯომმა“ მონიტორინგის სუბიექტები, უმეტესწილად, პირდაპირი საუბრით და ნეიტრალურ ტონში გააშუქა.

„დღის ქრონიკაში“ არ გასულა რაიმე საკითხზე, პრობლემაზე მომზადებული სიღრმისეული სიუჟეტები. ჟურნალისტები ძირითადად მოვლენების მშრალი გაშუქებით შემოიფარგლებოდნენ, არ გამოვლენილა მიკერძოების შემთხვევები. გადაცემები ძირითადად დაბალანსებული იყო.



„დია“ (ქ. ხაშური) - ტელეკომპანია „დიას“ ეთერში ახალი ამბების გამოშვებები ორშაბათიდან - პარასკევის ჩათვლით გადიოდა. საინფორმაციო გამოშვებებში რეგიონის ახალ ამბებთან ერთად ქვეყანაში განვითარებული მოვლენებიც შუქდებოდა.


საანგარიშო პერიოდში არხის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს 33 წუთი დაეთმო. გაშუქების მაღალი მაჩვენებლით კოალიცია „ქართული ოცნება“ (26%), ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (14%) და ადგილობრივი ხელისუფლება გამოირჩეოდნენ (14%). მონიტორინგის სუბიექტებს პირდაპირი და ირიბი საუბრისთვის დრო თითქმის თანაბრად ეთმობოდათ. მათ, ძირითადად, სამივე ტონში აშუქდნენ, თუმცა ნეიტრალური ტონი სჭარბობდა. პოზიტიურად გაშუქების ყველაზე მაღალი (29%) მაჩვენებელი ბლოკ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ჰქონდა, თუმცა აღნიშნული ჟურნალისტის მხრიდან მიკერძოებულ გაშუქებას არ უკავშირდება.

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „დია“ ადგილობრივი თვითმმართველობის მოახლოებული არჩევნების თემატიკის ინტენსიური და მრავალმხრივი გაშუქებით არ გამოირჩეოდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ 22 მაისს არჩევნების თემატიკასთან დაკავშირებით



მომზადდა ქუჩის გამოკითხვა, რომლის მიზანი მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის გამოვლენა იყო.

ჟურნალისტები ახალი ამბების გამოშვებებში ნაკლებად აფიქსირებდნენ საკუთარ მოსაზრებებს. ცალკეული გამონაკლისის გარდა, ჟურნალისტები ნაკლებად იჩენდნენ ინიციატივას დაესვათ კრიტიკული კითხვები და მოემზადებინათ სიღრმისეული მასალები. ხშირი იყო შემთხვევები, როცა რესპონდენტების პირდაპირი საუბარი ტიტრის გარეშე გადიოდა ეთერში.



**საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების და თოქ-შოუების მონიტორინგი**

ამ ტიპის გადაცემების მონიტორინგი მოიცავს მხოლოდთვისებრივკომპონენტს. მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება გადაცემების თემებზე, სტუმრებზე და განსაკუთრებით ჟურნალისტებზე. გადაცემის წამყვანების ქცევა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ფასდება: გადაცემაში მათი როლი და ჩართულობა, როგორ წარმართავენ პროცესს, უბრალოდ მოდერატორები არიან, თუ ცდილობენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, რამდენად თანაბარ პირობებში აყენებენ სტუმრებს, რამდენად თანაბრად მომთხოვნიან ჟურნალისტი ყველა სტუმრის მიმართ და ცდილობს მათგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას, რამდენად აცდიან სტუმრებს აზრის გამოთქმას, როდის აწყვეტინებენ საუბარს. მონიტორინგი ასევე აკვირდება ჟურნალისტების მხრიდან შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფრაზებისა და განცხადებების გამოყენებას და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე.

**მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:**

**"25-ე არხი" (ქ. ბათუმი)** - ტელეკომპანიის სადამოს ეთერში ორშაბათი - პარასკევის მანძილზე თოქ-შოუ „დიალოგი“ გადიოდა, რომელსაც ჟურნალისტი ჯაბა ანანიძე უძღვებოდა. საანგარიშო პერიოდში გასული გადაცემების მთავარი თემა თვითმმართველობის მოახლოებული არჩევნები იყო. გადაცემები ორი ნაწილისგან შედგებოდა, თითოეულ ბლოკში მიწვეული იყო სხვადასხვა პოლიტიკური ძალის ბათუმის მერობის თითო კანდიდატი: გიორგი ხიმშიაშვილი („ერთიანობის დარბაზი“), გიორგი დიასამიძე (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), გოჩა გუგუნავა (საქართველოს გზა), გიორგი ერმაკოვი (კოალიცია „ქართული ოცნება“), ჯუმბერ თავართქილაძე (ხალხის პარტია), ალექსანდრე თევზაძე (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“), დავით დიასამიძე („ირაკლი ღლონტი-რეფორმატორები“), დურმიშხან შაინიძე (ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს“), ნუგზარ ჩხაიძე (ლეიბორისტული პარტია); ძველი ბათუმის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ლევან ანთაძე.

21 მაისის გადაცემის თემა იყო „ნათესავები პარტიულ სიებში“. მასში მონაწილეობდნენ კოალიცია „ქართული ოცნების“ ქობულეთის საარჩევნო სიის პირველი ნომერი სულხან ოქროპირიძე და საია-ს აჭარის ფილიალის წარმომადგენელი.

22 მაისის გადაცემის თემა იყო „კორუფციის რისკები საკრებულოში“. სტუმარმა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ბათუმის ორგანიზაციის კოორდინატორმა ისაუბრა მათ მიერ ჩატარებულ, კვლევაზე, რომელმაც გამოავლინა დარღვევები ბათუმის საკრებულოს მიერ ტენდერების ჩატარების დროს.

23 მაისის გადაცემის - „ლეიბორისტების გზავნილი აჭარას“, სტუმრები იყვნენ: ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი და ბათუმში მათი პარტიული სიის პირველი ნომერი დავით რობაქიძე.

გადაცემების წამყვანი მერობის კანდიდატებს თითქმის ერთნაირ კითხვებს უსვამდა და ცდილობდა მათგან რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიეღო მათი წარსულის, პოლიტიკური შეხედულებების თუ ბათუმის განვითარების გეგმის შესახებ. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ აზრი ბოლომდე, შეუზღუდავად გამოეთქვათ. გადაცემის მსვლელობისას მაყურებელს საშუალება ჰქონდა სტუდიაში მიწვეული სტუმრისთვის კითხვები დაესვა. ჟურნალისტი ცდილობდა ბოლომდე ჩასძიებოდა სტუმარს, რათა დამატებითი კითხვებით მაყურებელს უფრო ამომწურავი ინფორმაცია მიეღო.

წამყვანი განსაკუთრებით აქტიურად იყო ჩართული 21 და 23 მაისის გადაცემებში. იგი კრიტიკულ კითხვებს სვამდა და სტუმრების მიმართ საკმაოდ მომთხოვნი იყო. დისკუსია

იყო მეტად მწვავე, წამყვანი აქტიურ ოპონირებას უწევდა სტუმრებს, რამდენჯერმე უმეორებადა ერთი და იგივე კითხვას, თუმცა ზოგ შემთხვევაში საკმაოდ დროს არ უთმობდა დასმულ კითხვაზე საპასუხოდ.

„დილოგის“ წამყვანი სიმულვილის ენას ან არაკორექტულ ლექსიკას არ იყენებდა, მსგავსი რამ არც სტუმრების მხრიდან დაფიქსირებულა.

**"რიონი" (ქ. ქუთაისი)** - ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში კვირის განმავლობაში ორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ გადიოდა: „თემა“ და „ობიექტური აზრი“.

**თოქ-შოუ „თემა“** ორშაბათსა და ხუთშაბათს 21 საათსა და 30 წუთზე გადის. გადაცემას ჟურნალისტი ნანა რობაქიძე უძღვება. საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის არეალში ოთხი გადაცემა მოექცა, რომლებიც სტუმართა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. გადაცემებში სხვადასხვა დროს მიწვეული ჰყავდათ, როგორც სამთავრობო გუნდის, აგრეთვე ოპოზიციური პარტიების საკრებულოს წევრობისა და გამგებლობის კანდიდატები, მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატები, აგრეთვე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

გადაცემების თემები ძირითადად შემდეგ საკითხებს მოიცავდა:

- ქალების როლი პოლიტიკაში, როგორ არიან ისინი წარმოდგენილნი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში;
- იმერეთის რეგიონში არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო პროგრამები, პოლიტიკური ხედვა, პროგრამული პრიორიტეტები;
- საარჩევნო გარემო;

გადაცემაში მიწვეულ სტუმრებს საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალება მაქსიმალურად ეძლეოდათ. თითოეულ დაინტერესებულ მხარეს საშუალება ჰქონდა თანაბრად დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია. თოქ-შოუს მსვლელობის დროს მაცურებელს მრავალმხრივი ინფორმაციის მიღების საშუალება ჰქონდა. წამყვანი აქტიურად იყო ჩართული გადაცემაში, თუმცა მწვავე კითხვების დასმით არ გამოირჩეოდა. იგი არ აფიქსირებდა საკუთარ პოზიციას და, ძირითადად, მოდერატორის ფუნქციით შემოსისაზღვრებოდა. გადაცემებში რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის ტენდენციურად წარმოჩენის მცდელობას ადგილი არ ჰქონია. არ დაფიქსირებულა „ფარული პოლიტიკური რეკლამის“ ფაქტებიც.

12 მაისის გადაცემაში, რომელიც პოლიტიკაში ქალების ჩართულობას მიეძღვნა, რესპონდენტების კუთხით ნაკლებად დაბალანსებული სიუჟეტი გავიდა. ცხრა ინტერვიუერიდან, რომლებიც სიუჟეტში შეკითხვას: „რას ფიქრობენ პოლიტიკოსი მამაკაცებიქალთა პოლიტიკაში გააქტიურებაზე?“, - პასუხობდნენ შვიდი კოალიცია

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელი იყო. თუმცა, საუბრის კონტექსტი ნეიტრალური იყო და ნეგატიურად არც ერთ მხარეს არ წარმოადგენდა.

გადაცემები ინტერაქტიული იყო, მოსახლეობას საშუალება ჰქონდა საკუთარი პოზიცია სატელეფონო ზარის საშუალებით დაეფიქსირებინა. გადაცემის მსვლელობის დროს ჟურნალისტის მხრიდან არ დაფიქსირებულა სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.

**თოქ-შოუ „ობიექტური აზრი“** კვირაში ერთხელ, სამშაბათობით გადის ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში და მას ჟურნალისტი ელზა ჩუბინიძე უძღვება. გადაცემა 21 საათსა და 30 წუთზე იწყება და მისი ხანგრძლივობა საათსა და 30 წუთს არ აღემატება. 12-25 მაისის პერიოდში დაკვირვება ორ გადაცემაზე მოხდა. გადაცემებში მიწვეულნი იყვნენ, როგორც კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები, აგრეთვე ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

გადაცემების თემები იყო:

- წინასაარჩევნო გარემო;
- არის თუ არა ეფექტური ადგილობრივი თვითმმართველობა და რა ცვლილებებს ელოდება მოსახლეობა არჩევნებისგან;

თოქ-შოუში წარმოდგენილი იყო ინტერაქტივის შეკითხვა: 20 მაისის გადაცემაში მაყურებელს საშუალება ჰქონდა ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის ეფექტურობასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა.

სტუმრების შერჩევის თვალსაზრისით გადაცემა დაბალანსებული იყო. გადაცემის მსვლელობისას არავინ სარგებლობდა პრივილეგიით. წამყვანი სტუმრებს საშუალებას არ აძლევდა თემიდან გადაეხვიათ. მწვავე პოლემიკის დროს იგი მათ აქტიურ ოპონირებას უწევდა. ძირითადი დებატები კოალიცია „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობდა. კამათის გამწვავების დროს წამყვანი სტუმრებს კორექტული საუბრისკენ მოუწოდებდა.

ჟურნალისტი ელზა ჩუბინიძე თოქ-შოუს მიმდინარეობაში აქტიურად იყო ჩართული. იგი ცდილობდა დასმულ კითხვებზე სტუმრებისგან ამომწურავი პასუხები მიეღო.

**ქვემო ქართლის ტელეკომპანია (ქ. რუსთავი)** - არხის სადამოს ეთერში სამშაბათს და პარასკევს გადაცემა „თქვენი დრო“ გადიოდა, რომელიც ჟურნალისტ ტატო გოგოლაძეს მიჰყავდა. საანგარიშო პერიოდში ოთხი გადაცემა გავიდა.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად წამყვანმა სპეციალურ ფორმატში დაიწყო მუშაობა და ეთერში რუსთავის მერობის კანდიდატები მიიწვია. გადაცემების თემა იყო: რუსთავის

მერობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამა. მხოლოდ ერთი გადაცემის სტუმარი არ ყოფილა მონიტორინგის სუბიექტი.

გადაცემის სტუმრები იყვნენ, რუსთავის მერობის კანდიდატები: ალექსანდრე კობაიძე (საქართველოს გზა), ივანე შათირიშვილი (საქართველოს პატრიოტთა ალიანსი), ეროსი კიწმარიშვილი (ჩვენი საქართველო).

ჟურნალისტი ცდილობდა სტუმრებს დეტალურად ესაუბრათ საარჩევნო პროგრამაზე, თუ როგორ აპირებენ მასში გაწერილი საკითხების შესრულებას. წამყვანი სვამდა აქტუალურ, ზოგჯერ კრიტიკულ კითხვებს და ცდილობდა სტუმრებისთვის ოპონირება გაეწია.

გადაცემის მსვლელობისას მაყურებელს საშუალება ჰქონდა მერობის კანდიდატებისთვის სატელეფონო ზარის მეშვეობით კითხვები დაესვათ.

**"ოდიში" (ქ. ზუგდიდი)** - 24 და 25 მაისს ტელეკომპანია „ოდიშის“ ეთერში გავიდა პოლიტიკური დებატები „არჩევნები 2014“, რომელიც „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მომზადდა. გადაცემები ჟურნალისტ ნანა ქობალიას მიჰყავდა.

გადაცემების სტუმრები იყვნენ კოალიცია „ქართული ოცნების“, ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“, „სახალხო პარტიის“, პოლიტიკური მოძრაობა „ერთიანობის დარბაზის“ ზუგდიდის გამგებლობის კანდიდატები. საარჩევნო ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ გამგებლობის კანდიდატმა დებატებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

ჟურნალისტი ინტერესდებოდა კანდიდატების საარჩევნო პროგრამით თუ რა იყო მათი პრიორიტეტები. წამყვანი ცდილობდა გამგებლობის კანდიდატებისგან დეტალური ინფორმაცია მიეღო.

მაყურებელს საშუალება ჰქონდა გამგებლობის კანდიდატებისთვის კითხვები ფეისბუქის გვერდის მეშვეობით დაესვათ. გადაცემის დასასრულს წამყვანმა მაყურებელს ინტერაქტივის შედეგები გააცნო. გადაცემებში რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის ტენდენციურად წარმოჩენის მცდელობას ადგილი არ ჰქონია. არ დაფიქსირებულა „ფარული პოლიტიკური რეკლამის“ ფაქტებიც.

**"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე)** - საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის არეალში თოქ-შოუ „დილოგი“ მოექცა. გადაცემა ტელეკომპანიის ეთერით ხუთშაბათობით 20:30 საათზე გადაიცემა და მას ჟურნალისტი რუსუდან გვარამაძე უძღვება.

15 მაისის გადაცემის თემა პოლიტიკაში ქალების ჩართულობა იყო: რატომ უნდა ავირჩიოთ მდებარეობითი სქესის წარმომადგენლები ადგილობრივ თვითმმართველობაში, როგორია მათ როლი პოლიტიკურ პროცესებში.

გადაცემის სტუმრების უმეტესობას ქალები წარმოადგენდნენ. სტუმართა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილე ქალებს ეკავათ, რომლებიც გენდერული საკითხების ირგვლივ არსებულ პრობლემატიკაზე საუბრობდნენ.

დისკუსიაში არ იყვნენ ჩართულნი პოლიტიკოსი მამაკაცები.

გადაცემები ძირითადად კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. წამყვანი ძირითადად მოდერატორის როლში იყო და არ გამოხატავდა საკუთარ პოზიციას.

**"თანამგზავრი" (ქ. თელავი)** - ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ეთერში **თოქ-შოუ „დილოგი“** პარასკევობით გადის. საანგარიშო პერიოდში ორი გადაცემა გავიდა: 16 და 23 მაისს. მათ ჟურნალისტი ნატო მეგუთნიშვილი უძღვებოდა.

16 მაისის თოქ-შოუს თემები იყო: ახალგაზრდობის პრობლემები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა.

23 მაისის გადაცემას კი პოლიტიკური დებატების სახე ჰქონდა. სტუმრად მიწვეული ჰყავდათ თვითმმართველობის მომავალ არჩევნებში მონაწილე კვალიფიციური სუბიექტების („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „თვითმმართველობა ხალხს“, „არასაპარლამენტო ოპოზიცია“, „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“) პარტიული სიის პირველი ნომრები. გადაცემის დასაწყისში წამყვანმა აღნიშნა, რომ მიწვეული ჰყავდათ კვალიფიციური „ქართული ოცნების“ კანდიდატიც, თუმცა, იგი გადაცემას არ დაესწრო.

გადაცემა პირდაპირ ეთერში დაახლოებით ერთი საათი და 20 წუთი გაგრძელდა. მისი პირველ ნაწილი საარჩევნო პროგრამების წარდგენას დაეთმო. წამყვანი ნეიტრალური და მიუკერძოებელი იყო, სტუმრებს თანაბარ დროს უთმობდა და კენჭისყრით განსაზღვრული თანმიმდევრობით უსვამდა ერთი და იმავე კითხვას. ის ძირითადად მედიატორის ფუნქციას ასრულებდა და სტუმრებს გადაცემის თემიდან გადახვევის საშუალებას არ აძლევდა. იგი მათ საუბარს არ აწყვეტინებდა და არ ცდილობდა დამატებითი კითხვების დასმას.

გადაცემის მსვლელობისას წამყვანმა მოწვეულ სტუმრებს პარლამენტის მიერ მიღებულ ანტიდისკრიმინაციულ კანონზეც ჰკითხა: „როგორ ფიქრობთ უნდა მიეღო თუ არა მთავრობას ეს კანონი, რას შეცვლის ეს თელავის ყოველდღიურ ცხოვრებაში და რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა თელავისთვის?“ ამ თემაზე საუბრის დროს სტუმრების მხრიდან ადგილი ჰქონდა ჰომოფობიურ განცხადებებს, თუმცა ჟურნალისტს მათი გაჩერება არ უცდია.

სტუმრებმა უპასუხეს დარბაზში მოწვეული მხარდამჭერებისა და სიუჟეტს სახით გასული ამომრჩევლების მიერ დასმულ კითხვებსაც.

**"თრიალეთი" (ქ. გორი)** - ტელეკომპანია „თრიალეთის“ ეთერში, 19:00 საათზე გადის **თოქ-შოუ „თვითმმართველობის არჩევნები 2014“**. გადაცემას კვირის მანძილზე რამდენჯერმე ეთმობა ეთერი და მას სხვადასხვა წამყვანი უძღვება - თეა გიგუაშვილი და ლადო ბიჭაშვილი. საანგარიშო პერიოდში ოთხი გადაცემა მომზადდა.

თითოეულ გადაცემაში მიწვეულნი იყვნენ არჩევნებში მონაწილე ერთი კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლები: კოალიცია „ქართული ოცნების“ გორის მერობის კანდიდატი ზურაბ ჯირკველიშვილი და „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ გორის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარე; „ქართული პარტიის“ გორის მერობის კანდიდატი კახაბერ ერგემლიძე და პარტიის ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი; არასაპარლამენტო ოპოზიციის“ მერობის კანდიდატი ვასილ ბუთხუზი და ამავე პოლიტიკური ძალის გამგებლობის კანდიდატი; „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ მერობის კანდიდატი მამუკა ნოზაძე და მისი საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი.

გადაცემების მსვლელობისას მაყურებელს საშუალება ჰქონდა, სტუმრებისთვის სატელეფონო ზარის მეშვეობით შეკითხვები დაესვათ.

ჟურნალისტი თეა გიგუაშვილი კრიტიკულ კითხვებს სვამდა, რესპონდენტებს თავიანთ მოსაზრებებს აკონკრეტებინებდა, რომ მაყურებელს მათი ნათქვამი ზუსტად გაეგოთ. წამყვანს გადაცემა მომზადებული ჰქონდა და განსახილველ თემებში კარგად ერკვეოდა. თუ რესპონდენტის ნათქვამი, სიმართლეს არ შეესაბამებოდა, წამყვანი მას შეახსენებდა, რომ ნათქვამი სიმართლე არ იყო. ჟურნალისტი ცდილობდა, სტუმრებს დეტალურად ესაუბრათ საარჩევნო პროგრამაზე და გაეგოთ თუ რის გაკეთებას აპირებდნენ გამარჯვების შემთხვევაში.

ნალკებად კრიტიკული იყო ჟურნალისტი ლადო ბიჭაშვილი. თუმცა ისიც ცდილობდა სტუმრებს მაყურებლისთვის მეტი ინფორმაცია მიეწოდებინათ საარჩევნო პროგრამის და ქალაქის განვითარების მათეული გეგმის შესახებ. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ თავისუფლად ესაუბრათ, ისინი დროში ნაკლებად შეზღუდულები იყვნენ და აზრის გამოთქმის საშუალება ბოლომდე ეძლეოდათ.

20 მაისიდან ტელეკომპანია „თრიალეთმა“ კიდევ ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის მომზადება დაიწყო. **გადაცემა „დღის თემა“** ორშაბათი-პარასკევის მანძილზე არხის მაყურებელს აქტუალურ თემებზე ვრცელ ინფორმაციას აწვდის. გადაცემას

ჟურნალისტი ია გავაშელი უძღვება. საანგარიშო პერიოდში ოთხი გადაცემა გავიდა, რომლის თემებიც იყო:

- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მრჩეველის ლალი მოროშკინას ბრალდებები დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიმართ;
- სამინისტროებში გაცემული პრემიები და სახელფასო დანამატები - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) კვლევა;
- საყდრისის საბადოს ირგვლივ არსებული ვითარება;
- საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება.

გადაცემებში მიწვეული იყო ერთი ან ორი სტუმარი, რომლებიც მხოლოდ ერთი მხარის პოზიციას გამოხატავდნენ. გადაცემის წამყვანის თქმით, იწვევენ მეორე მხარესაც, მაგრამ ისინი უარს აცხადებენ მონაწილეობა მიიღონ გადაცემაში. შესაბამისად, მიწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ თავისუფლად, შეუზღუდავად ისაუბრონ. ჟურნალისტი მათ ოპონირებას არ უწევდა, მხოლოდ კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა და ზოგჯერ ცდილობდა დეტალები ჩამიების გზით დაეზუსტებინა. იგი აქტუალურ და საინტერესო კითხვებს სვამდა.

ტელეკომპანია „თრიალეთის“ გადაცემების მთავარი ტექნიკური პრობლემა ტიტრების არარსებობაა, რაც ართულებს სტუმრის თუ წამყვანის ვინაობის გარკვევას.

**"გურია" (ქ. ოზურგეთი)** - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „გურიის“ ეთერში 21 მაისს გადაცემა **„თქვენთან ერთად“** გავიდა. მისი წამყვანი ჟურნალისტი თამთა დოლიძე იყო. გადაცემის თემა კი - ქალის როლი ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დაახლოებით 45-წუთიანი გადაცემის სტუმრები იყვნენ თვითმმართველობის მომავალ არჩევნებში მონაწილე ქალები: საკრებულოს დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი, კოალიცია „ქართული ოცნების“ და „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატები, აგრეთვე ორგანიზაცია „გენდერული თანასწორობის ქსელის“ ხელმძღვანელი. აღსანიშნავია, რომ სტუმრებს საუბრის დროს არ ეწერებოდათ ტიტრები.

გადაცემის მსვლელობის დროს წამყვანს გაუჭირდა გადაცემის თემის შენარჩუნება, სტუმრებმა რამდენჯერმე გადაუხვიეს თემას და ჟურნალიტმა მათ და წინასაარჩევნო განცხადებების გაკეთების საშუალება მისცა.

წამყვანი ცდილობდა, ნეიტრალური და ობიექტური ყოფილიყო, ყველა სტუმარს აძლევდა პასუხის გაცემისა და აზრის დასრულების საშუალებას, დროს კი თითქმის თანაბრად უნაწილებდა.



**"იმერვიზია" (ქ. ჭიათურა)** - 23 მაისს ტელეკომპანია „იმერვიზიის“ ეთერში **ტელედებატები „არჩევნები 2014“** გავიდა, რომელსაც ჟურნალისტი ინგა ჯაჯანიძე უძღვებოდა. გადაცემა „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მომზადდა. გადაცემაში თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლები იყვნენ მიწვეულნი. კერძოდ, საკუთარი საარჩევნო პროგრამების შესახებ საინიციატივო ჯგუფის, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“, ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“, ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციისა“, „ლეიბორისტული პარტიის“ ჭიათურის მაჟორიტარი დეპუტატობისა და გამგებლობის კანდიდატებმა ისაუბრეს.

სტუმართა საუბრის რიგითობა წილისყრით განისაზღვრა. მათ საკუთარ საარჩევნო პროგრამების წარსადგენად დრო თანაბრად მიეცათ, ჩართული იყო წამზომი. გადაცემა ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველ ნაწილში პოლიტიკურ სუბიექტებს პროგრამების წარდგენისთვის 3-3 წუთი მიეცათ. მეორე ნაწილში სტუმრებს ჟურნალისტის კითხვების გარდა, არასამთავრობო სექტორისა და ამომრჩევლების შეკითხვებზე პასუხის გაცემა უწევდათ.

წამყვანი, ძირითადად, მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა. სტუმრებს აზრის გამოხატვის საშუალებას თავისუფლად აძლევდა, საუბარს არ აწყვეტინებდა, თუმცა, თემიდან გადახვევის საშუალებასაც არ აძლევდა. ჟურნალისტი სტუმრებს კონკრეტული არგუმენტირებული საუბრისკენ მოუწოდებდა. მაყურებელს ამომწურავი ინფორმაციის მიღების საშუალება ჰქონდა. წამყვანის მხრიდან სტუმრების მიმართ მიკერძოებული, სუბიექტური დამოკიდებულება არ იგრძნობოდა. არ დაფიქსირებულა სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.

**"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი)** - ტელეკომპანიის ეთერში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში **თოქ-შოუ „ძალა უძალოთა“** ორი გამოშვება მომზადდა. გადაცემას, რომელიც ეთერში პარასკევობით გადის ჟურნალისტი ლევან ალექსიშვილი უძღვება.

თოქ-შოუებში მოწვეულნი იყვნენ კახეთის რეგიონში მოქმედი პარტიების რეგიონული ოფისების წარმომადგენლები. სტუმართა შორის იყვნენ არასამთავრობო სექტორის და საზოგადოების აქტიური წარმომადგენლებიც. თოქ-შოუებში შემდეგი თემები განიხილეს:

- პოლიტიკურ პროცესებში ქალების მონაწილეობის მნიშვნელობა; კახეთის რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე ქალები და მათი პროგრამები;

- კახეთის რეგიონში მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესები, პოლიტიკური ძალების პროგრამული გეგმები და პრიორიტეტები;

წამყვანის სტუმრების მიმართ საკმაოდ მომთხოვნი იყო. იგი მიწვეულ სტუმრებს ნათქვამის, განსხვავებული მოსაზრების არგუმენტირებულ დასაბუთებას სთხოვდა. წამყვანის ტექსტისა და კითხვების საშუალებით მაყურებელისთვის გადაცემა უფრო საინტერესო და ინფორმაციულად დატვირთული იყო. იგი საპირისპირო არგუმენტებით ოპონირებას უწევდა სტუმრებს.

ლევან ალექსიშვილი გადაცემის რესპონდენტებთან ერთად ცდილობდა წარმოდგენილი თემის სიღრმისეულ ანალიზს. თუმცა, იცავდა ბალანსს და საკითხის მიმართ საკუთარ პოზიციას ნაკლებად აფიქსირებდა. იგი ნეიტრალური იყო. ჟურნალისტის მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები ან არაეთიკური გამონათქვამების გამოყენება არ გამოვლენილა; არ დაფიქსირებულა „ფარული პოლიტიკური რეკლამის“ შემთხვევები.

**"მეგა ტვ" (ქ. ხონი)** - მონიტორინგის ქვეშ ტელეკომპანიის ორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ მოხვდა: „**დისკურსი**“ და „**დებატები**“.

„**დისკურსს**“ არხის სადამოს ეთერი ოთხშაბათობით ეთმობა. მისი წამყვანი ჟურნალისტი ნანა თოშხუაა. გადაცემებში სახვადასხვა აქტუალურ თემაზე საუბრობენ. 21 მაისის გადაცემაში მიწვეულმა საია-ს ქუთაისის ოფისის წარმომადგენელმა მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე ისაუბრა, სადაც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო გარემო არის შეფასებული. გადაცემის წამყვანი სტუმარის მიმართ კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა და საკუთარ პოზიციას თითქმის არ აფიქსირებდა. იგი ცდილობდა მაყურებელს დეტალური ინფორმაცია მიეღო საია-ს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ გადაცემა, ძირითადად, კითხვა-პასუხის რეჟიმში, მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა. სტუმარს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება მაქსიმალურად ეძლეოდა.

პოლიტიკურ გადაცემა „**დებატები**“ ტელეკომპანია „მეგა ტვ“-ის ეთერში ორშაბათი-პარასკევის მანძილზე 21:30 საათიდან გადის. გადაცემას ჟურნალისტი თიკო კიკაბიძე უძღვება. გადაცემების თემა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების საარჩევნო პროგრამებია.

საანგარიშო პერიოდში ცხრა გადაცემა მომზადდა. გადაცემების სტუმრები თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლები იყვნენ. ის ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკის სახელით, აგრეთვე როგორც მაჟორიტარობის დამოუკიდებელი

კანდიდატები კენჭს იყრიან დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა საარჩევნო ოლქში (ქუთაისი, ხონი, წყალტუბო, მარტვილი და ა.შ.). თითოეულ გადაცემაში ორი ან სამი სტუმარი იყო მიწვეული. დებატები წინასწარ განსაზღვრული ფორმატით მიმდინარეობდა: მისალმება (30 წმ.), კითხვა-პასუხი, (2 წთ.), ურთიერთშეფასებისთვის წუთნახევარი, კომენტარისთვის 30 წამი. გარდა ამისა, სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ ერთმანეთს ერთი კითხვა დაუსვან და ბოლოს მიმართვისთვის მათ 30 წამი ეძლევათ. მიუხედავად მკაცრად განსაზღვრული წესებისა, სტუმრები შეზღუდულები არ იყვნენ, მათ თანაბრად ეძლეოდათ დრო საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად.

ჟურნალისტი კითხვებს, ძირითადად, სტუმრების საარჩევნო პროგრამების შესახებ სვამდა და ინტერესდებოდა თუ რატომ უნდა მიეცა ამომრჩეველს ხმა თითოეული კანდიდატისთვის. იგი უმეტესად კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა. როდესაც სტუმარი გადაცემის ფორმატის შეცვლას ცდილობდა, ჟურნალისტი მოუწოდებდა, რომ ფორმატიდან არ გადაეხვიათ, თუმცა ზოგჯერ სტუმრები ამას მაინც ახერხებდნენ. წამყვანის მხრიდან ტენდენციურობა, რომ რომელიმე მხარე დადებითად ან უარყოფითად წარმოჩენის მცდელობა არ შეინიშნებოდა. იგი საკუთარ პოზიციას არ აფიქსირებდა და მხოლოდ მოდერატორის მოვალეობას ასრულებდა. გადაცემებში არ ყოფილა სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.

**"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი)**–ტელეკომპანია „მეცხრე ტალღის“ ეთერი კვირაში ერთხელ, პარასკევობით პოლიტიკურ **თოქ-შოუ „თემას“** ეთმობა. გადაცემას თეა აბსარიძე უძღვება. თოქ-შოუ სტუმართა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. გადაცემაში მონაწილეობენ სხვადასხვა პოზიციის მქონე სტუმრები, ამიტომაც განსხვავებული მოსაზრებებიც ხშირად ფიქსირდება.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის ქვეშ ორი გადაცემა მოექცა. აქედან ერთი თოქ-შოუ ფოთის მერობის კანდიდატებს დაეთმოთ. კანდიდატებს შორის იყვნენ: ირაკლი კაკულია (კოალიცია „ქართული ოცნება“), ვახტანგ დარსმელიძე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) და დავით ქანთარია („ბურჯანაძე- ერთიანი ოპოზიცია“).

თოქ-შოუების ძირითადი თემები იყო:

- მერობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამები და დაპირებები;
- საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების პოლიტიკური ხედვები და პრიორიტეტები;

სტუმრებს შორის პოლემიკა მწვავედ მიმდინარეობდა, მაყურებელს საშუალება ჰქონდა მიწვეული კანდიდატებისგან ამომწურავი ინფორმაცია მიეღო. იმ შემთხვევებში, თუ

რესპონდენტების საუბარი ფაქტებით გამყარებული არ იყო, წამყვანი მათ არგუმენტირებული საუბრისკენ მოუწოდებდა.

ზოგჯერ ჟურნალისტი პასიურობას იჩენდა და მოდერატორის როლში გვევლინებოდა. აღსანიშნავია, რომ წამყვანის მხრიდან არ გამოვლენილა მიკერძოებული საუბრის, სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.

**„არგო“ (ქ. ზესტაფონი)** - მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში, 22 მაისს ტელეკომპანიის ეთერში **ტელედებატები „არჩევნები 2014“** გავიდა. გადაცემა „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მომზადდა. დებატები ჟურნალისტ მარინა ჯუღელს მიჰყავდა.

გადაცემის სტუმრები იყვნენ: „არასაპარლამენტო ოპოზიციის“, „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „საქართველოს გზის“ ზესტაფონის გამგებლობის კანდიდატები. გადაცემაში მონაწილეობა ვერ მიიღო კოალიცია „ქართული ოცნების“ ზესტაფონის გამგებლობის კანდიდატმა, რადგან იგი ქალაქში არ იმყოფებოდა.

გადაცემის მსვლელობისას ჟურნალისტი ინტერესდებოდა თითოეული კანდიდატის საარჩევნო პროგრამით, თუ რას გააკეთებენ ისინი რაიონისთვის გამარჯვების შემთხვევაში და რა რესურსი გააჩნდათ ამისთვის.

დებატების მსვლელობისას ეთერში გავიდა სიუჟეტი, სადაც მოქალაქეები ადგილობრივ პრობლემებზე საუბრობდნენ. ჟურნალისტი დაინტერესდა გამარჯვების შემთხვევაში რას გააკეთებდა თითოეული კანდიდატი ამ პრობლემების მოსაგვარებლად. მოგვიანებით კი სტუდიაში გამგებლობის კანდიდატებს ტელეკითხვები დაუსვეს ადგილობრივი მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა. გადაცემაში აქტიურად იყო ჩართული მაყურებელი, რომლებიც სატელეფონო ზარის მეშვეობით გამგებლობის კანდიდატებს კითხვებს უსვამდნენ.

დებატები „არგოს“ ეთერში განმეორებით 23 მაისს გავიდა.

**„მარნეული ტვ“ (ქ. მარნეული)** – მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია „მარნეული ტვ“-ის ეთერში მხოლოდ ერთი **საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა „კითხვები გამგებელთან“** გავიდა. 23 მაისის გადაცემის სტუმარი მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე იყო. გადაცემა პირდაპირ ეთერში გადიოდა. დაახლოებით ერთსაათიანი გადაცემის წამყვანი ჟურნალისტი ნონა სამხარაძე იყო. მაყურებელს საშუალება ჰქონდა გადაცემის მსვლელობისას სატელეფონო ზარის მეშვეობით სტუმრისთვის კითხვები დაესვა. მაგრამ მხოლოდ ორმა მაყურებელმა დარეკა.

გადაცემა „კითხვები გამგებელთან“ თვეში ერთხელ მზადდება და ის თვითმმართველობის ერთთვიან მუშაობას აჯამებს. გამგებლის მოადგილემ ბოლო ერთი თვის განმავლობაში განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა. წამყვანი აქტიურად ერთვებოდა სტუმრის საუბარში, უსვამდა მწვავე კითხვებს ქალაქში არსებულ კონკრეტულ პრობლემებსა და თვითმმართველობის საქმიანობასთან დაკავშირებით. ცდილობდა დაეზუსტებინა სტუმრის პასუხები. ჟურნალისტი საკმაოდ მომზადებული იყო, იცნობდა არსებულ პრობლემებს და მოსახლეობის მოთხოვნებს თვითმმართველობის მიმართ. სტუმარიც საკმაოდ მომზადებული ჩანდა, მას თან ჰქონდა განხორციელებული თუ დაგეგმილი პროექტების სია და ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა.

**„ბორჯომი“ (ქ, ბორჯომი)** - ტელეკომპანია „ბორჯომის“ ეთერში, საანგარიშო პერიოდში, გადაცემა „ფორუმის“ ორი გამოშვება და თოქ-შოუ „არჩევნები 2014“ გავიდა.

გადაცემა „ფორუმის“, რომელიც ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარადაჭერით ხორციელდება, წამყვანი ჟურნალისტი ეკა ნოზაძეა. გადაცემის ხანგრძლივობა 30-40 წუთს შეადგენს.

12 მაისის „ფორუმის“ თემა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) პოლიტიკური რეიტინგების კვლევის მიმართ პოლიტიკური პარტიების ბორჯომის ორგანიზაციების წარმომადგენლების ნდობა იყო. სტუმრებად მიწვეული ჰყავდათ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ლეიბორისტული პარტიის“ და „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენლები.

გადაცემის წამყვანი, ძირითადად, მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა. ის იყო ნეიტრალური, ობიექტური და ცდილობდა ყველა სტუმრისთვის თანაბარი დრო დაეთმო. ამასთანავე იგი სტუმრებს აზრის დამთავრების საშუალებას აძლევდა და აზუსტებდა მათ პასუხებს. იგი რესპოდენტებს არ აძლევდა გადაცემის თემიდან გადახვევის საშუალებას. წამყვანი ცდილობდა დასმულ კითხვებზე გადაცემის ყველა სტუმრისგან მიეღო პასუხი.

16 მაისის გადაცემის თემა საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლა იყო. სტუმარმა, ბორჯომის 36-ე საოლქო კომისიის თავმჯდომარემ, დეტალურად ისაუბრა დარეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტებსა და საარჩევნო პროცედურებზე. ჟურნალისტი ნეიტრალური და ობიექტური იყო, სვამდა ყველა იმ კითხვას, რაც შეიძლება მაყურებელს გასჩენოდა არჩევნების პროცესთან დაკავშირებით.

გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზი: გადაცემის სტუმრებს საუბრის დროს არ უკეთდებათ ტიტრები.

პოლიტიკური დებატები „არჩევნები 2014“ „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ მხარდაჭერით მომზადდა. ის ტელეკომპანია „ბორჯომის“ ეთერში 22 მაისს გავიდა. მას ჟურნალისტი ეკა ნოზაძე უძღვებოდა.

გადაცემის სტუმრები ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კოალიცია „ქართული ოცნების“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატები იყვნენ. როგორც წამყვანმა აღნიშნა, მიწვეული ჰყავდათ „ლეიბორისტული პარტიის“ და „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ კანდიდატებიც, თუმცა მათ დებატებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გადაცემის სტუმრებს და სტუდიაში მიწვეულ მათ მხარდამჭერებს წამყვანმა თანაბარი დრო დაუთმო. იგი ცდილობდა ბალანსის დაცვას, იყო მიუკერძოებელი და ნეიტრალური. ჟურნალისტი ძირითადად მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა, კენჭისყრით განსაზღვრული თანმიმდევრობის მიხედვით რიგ-რიგობით უსვამდა რესპონდენტებს ერთიდაიმავე კითხვას და დროს წამზომის მეშვეობით უნიშნავდა. სტუმრებმა გადაცემის პირველ ნაწილში თავიანთ საარჩევნო პროგრამებზე ისაუბრეს, მეორე ნაწილში ამომრჩევლების კითხვებს უპასუხეს, რომლებიც გადაცემის მსვლელობისას, სიუჟეტის სახით გავიდა. მესამე ნაწილი კი მაყურებლების სატელეფონო ზარებით დასმულ კითხვებზე პასუხებს დაეთმო. დებატები დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა.

**„დია“ (ქ. ხაშური)** - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის ეთერში მონიტორინგის სუბიექტების მონაწილეობით თოქ-შოუ არ გასულა.

### **ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“**

„საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ ყოველკვირეული ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“ კვირაში ერთხელ, სხვადასხვა დროს ეთერში შემდეგ არხებზე გადის: „ქვემო ქართლის ტელეკომპანია“, „თანამგზავრი“, „ოდიში“ , „გურია“, „მეცხრე ტალღა“ „რიონი“, „25-ე არხი“, „იმერვიზია“, „გურჯაანი“ , „მეცხრე არხი“, „მარნეული ტვ“, „არგო“, „ბორჯომი“, „დია“.

საანგარიშო პერიოდში ტელეჟურნალ „მრავალკუთხედის“ ორი გადაცემა გავიდა.

დაახლოებით 35-45 წუთიან გადაცემებში მხოლოდ სიუჟეტები გავიდა. გამოშვებებში სტუმრები მიწვეული არ ჰყოლიათ. გადაცემის წამყვანი ნიკოლოზ რუბაშვილი ძირითადად სიუჟეტებს წარადგენდა, იყო ნეიტრალური და მიუკერძოებელი.

ორივე გადაცემაში მოხვდა ჯამში ოთხი თვითმმართველი ქალაქის მართვის ისტორიაზე მომზადებული სიუჟეტი, ორი - საარჩევნო თემაზე მომზადებული. „მრავალკუთხედის“

სიუჟეტები სხვადასხვა რეგიონული ტელევიზიების მიერ არის მომზადებული და სხვადასხვა რეგიონების თემებს მოიცავს. გადაცემა თემატურად მრავალფეროვანია. სიუჟეტები დაბალანსებული, მიუკერძოებელი და სიღრმისეულია.

**მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:**

26 მაისი - 1 ივნისის მანძილზე განხორციელდება რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის მეორე ეტაპი.



*ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი შესაძლოა არ ასახავდეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.*